ხელშეკრულება № 5
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.გურჯაანი 2013 წლის 11 იანვარი

ერთი მხრივ, გურჯაანის მუნიციპალიტეტი (მისამართი: ქ. გურჯაანი, ი.ნინეშვილის გამზ. №13) წარმოდგენილი მისი გამგებლის მ/შ აკაკი ოსიაშვილის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორე მხრივ შპს „სერვისი +" (მისამართი: გურჯაანი, 9 აპრილის ქ. N27) მისი დირექტორის დავით იმერლიშვილის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა მე- 10[1] მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის მეთოდით ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურეობა" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დავალება" ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მოულობები, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურება CPV კოდი: 90600000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **29016** (ოცდაცხრა ათას თექვსმეტი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია: ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება; ბ) მომსახურეობის გაწევის ვადის დასრულებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

4.2 შემსყიდველი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია: ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია: ა) მიაწოდოს მომსახურეობა სრული მოცულობით და დათქმულ ვადებში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

5.2. მიმწოებელთან ანგარიშწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის ფორმა 2-ისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირ(ებ)ი შემსყიდველის მიერ განსაზღვრულია ბრძანებით;

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ფორმა 2-ს (ფორმა 2 უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მასალების, ხელფასის, ტრანსპორტის ხარჯებისა და შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.) ;

8. მომსახურეობის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორია;

8.2. მომსახურეობის მიწოდება ხდება მხარეთა მიერ დადგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 12 თებერვალი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

11.5. ხელშეკრულების 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ...ვალდებულია დაუყოვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ...ბთი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან;

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხეშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 20 თებერვლამდე.

შემსყიდველი:
გურჯაანის მუნიციპალიტეტი. 227765022. ქ. გურჯაანი. ი.ნონეშვილის გამზ#13. სს „ ლიბერთი ბანკის" გურჯაანის ფილიალი. ბ/კ 220101499 ანგარისის # **GE32LB0120114071339001**

მიმწოდებელი:
შპს „სერვისი+" ს/კ 427716475. (მისამართი: გურჯაანი, 9 აპრილის ქ. N27. სს „ ლიბერთი ბანკის" გურჯაანის ფილიალი. ბ/კ 220101499 ანგარისის # **GE79LB0113154266328000.**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა გსმგებლის მ/შ	შპს „სერვისი+"
აკაკი ოსიაშვილი	დავითი იმერლიშვილი